ოქმი:**ო37. 37262997**
თარიღი:**26/10/2026**

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის დავით ხურციძის ანგარიშის მოსმენის სხდომის

ოქმი

2026 წელი, 21 ოქტომბერი
ქ. ოზურგეთი
11:00-12:00- საათი

თავმჯდომარეობდა: დავით დარჩია-მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

ესწრებოდნენ : საკრებულოს წევრის ამომრჩევლები, კოლეგები.

საკრებულოს აპარატის პასუხისმგებელი პირები.

ანგარიშის მოსმენის დაწყებამდე სხდომის თავმჯდომარე დავით დარჩია მიესალმა დამსწრეთ, ამომრჩევლებს - აღნიშნა, რომ მიმდინარეობს საკრებულოს რეგლამენტით გათვალისწინებული საქმიანობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და საპასუხისმგებლო ეტაპი-საკრებულოს წევრების მიერ წლის განმავლობაში გაწეული მუშაობის ანგარიშის ჩაბარება. რომ დავით ხურციძე არის საუკეთესო მაჟორიტარი დეპუტატი, საკრებულოს ფრაქცია „ევროპელი სოციალისტები“- ის თავმჯდომარე. გამოირჩევა ამომრჩევლებისადმი გულისხმიერი დამოკიდებულებით.

საკრებულოს წევრმა დ. ხურციძემ საკრებულოს რეგლამენტის 131 -ე მუხლის შესაბამისად წარმოადგინა მის მიერ საანგარიშო პერიოდში როგორც საკრებულოს, ფრაქციასა და კომისიებში, ამომრჩევლებთან, მუნიციპალიტეტის მერიის სამსახურებთან ერთობლივად გაწეული მუშაობის ანგარიში. ისაუბრა საანგარიშო პერიოდში ამომრჩევლების მიერ დაყენებული პრობლემების გადაწყვეტის მიზნით გაწეულ საქმიანობაზე. ინფრასტრუქტურულ პროგრამებზე, ქალაქ ოზურგეთში განხორციელებულ სამუშაოებზე და სამომავლო გეგმებზე- ისაუბრა როგორც მაჯორიტარმა და საკრებულოს წევრმა.

ამომრჩევლებმაც და კოლეგებმაც მაღალი შეფასება მისცეს წარმოდგენილ ანგარიშს. საკრებულოს წევრის დ. ხურციძის საქმიანობა შეფასებულია დადებითად და უსურვეს მას წარმატებები მომავალ საქმიანობაში.ამომრჩევლებმა აღნიშნეს,რომ მათი რჩეული დეპუტატი ბ. თოიძე არის ამომრჩევლების გვერდში მდგომი და ის არ იმსახურებს შენიშვნებს ამომრჩევლების მხრიდან.

აღნიშნეს,რომ ის პროფესიონალურად უდგება ყოველ პრობლემას, კოლეგიურად, ურთიერთთანამშრომლობით აგვარებს პრობლემატურ საკითხებს, წარმატებები უსურვეს მომავალ საქმიანობაში.

გამოთქმულ შეფასებებს დაეთანხმა სხდომის თავმჯდომარე დავით დარჩია და აღნიშნა, რომ ანგარიში სრულად პასუხობს რეგლამენტის მოთხოვნებს, უსურვა წარმატებები მომავალ მუშაობაში.

ამომრჩევლების და დამსწრეთა საერთო აზრით, სხდომის თავმჯდომარის დავით დარჩიას წინადადებით, საკრებულოს წევრის ანგარიში შეფასდა დამაკმაყოფილებლად.

დავით დარჩია

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

